აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

28 დეკემბერი, 2012

დადგენილება № 68 (12/13)
ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესში (დადგენილება №8(12/13) შევიდეს ცვლილება თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობა

1. საგრანტო კონკურსში მონაწილე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ პროექტში. დაუშვებელია კონკურსში მონაწილე პირი იყოს ამავე კონკურსის სხვა პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი, დამხმარე პერსონალი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

   ა) აწსუ-ს აკადემიურ პერსონალს;

   ბ) აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, სპეციალისტებსა და კონსულტანტებს;

   გ) აწსუ-ში მოწვეულ პირებს რომლებიც უნივერსიტეტში წარმართავენ სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას, აწსუ-ს დოქტორანტებს (გარდა 1-ლი კურსის დოქტორანტებისა), მხოლოდ ძირითადი შემსრულებლისა და დამხმარე პერსონალის სტატუსით;

   დ) აწსუ-ს დამხმარე პერსონალს;

მუხლი 7. პროექტის მართვა

1. პროექტის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:

   ა) პროექტის ხელმძღვანელი - აწსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული ან ასოცირებული პროფესორი), აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კონსულტანტი, აწსუ-ს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, როგორც პროექტის განხორციელებასა და სამეცნიერო შედეგებზე, ისე შუალედური და საბოლოო ანგარიშგების წარდგენაზე;

   ბ) ძირითადი შემსრულებელი/შემსრულებლები - აწსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ასევე აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კონსულტანტი, აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტი, აწსუ-ში მომუშავე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აწსუ-ს დოქტორანტი. გამარჯვებული პროექტის ცალკეული ეტაპის განხორციელების პროცესში „მოწვეულის“ სტატუსით შეიძლება ჩართულ იქნას საქართველოს ან უცხოეთის იმ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

   გ) დამხმარე პერსონალი - აწსუ-ს აკადემიური და დამხმარე პერსონალი (ასევე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, კონსულტანტი, სპეციალისტი), აწსუ-ში მომუშავე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აწსუ-ს დოქტორანტი, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში მასზე პროექტით დაკისრებულ ტექნიკური და ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტას.

2. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადამფინანსებელი ორგანიზაცია. თანადაფინანსების მოცულობა უნდა იყოს პროქტის სრული ბიუჯეტის არანაკლებ 20%-სა.